

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 13 სექტემბრის სხდომის

ოქმი =37

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 17. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის წევრი, პროფ. დავით ჯაფარიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სხდომის თავმჯდომარე: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინოთ საკითხს, რომელიც ეხება ადმინისტრაციის დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხარჯთაღრიცხვასა და არაფინანსური აქტივების, კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 32000 ლარის გადატანას სხვა ხარჯების მოგების გადასახადის პუნქტში. ასევე, ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 300000 ლარის გადატანას ელექტროენერჯის ხარჯების პუნქტში. ყოველივე ზემოთ ხსენებულის წინასწარი გათვლა შეუძლებელი იყო რამაც გამოიწვია მსგავსი ცვლილებები ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 13 სექტემბრის =37 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ადმინისტრაციის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 32000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მოგების გადასახადის პუნქტში;

2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 300000 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯების პუნქტში.

სხდომის თავჯდომარე: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტთან „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება #944 – მომხსენებელი პროფ. ალექსანდრე სიჭინავა;

პროფ. ალექსანდრე სიჭინავა: მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობას სჭირდება მოდელირება. ამიტომ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით საჭიროა ლაბორატორიის შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 13 სექტემბრის #37 სხდომაზე პროფ. ალექსანდრე სიჭინავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტთან „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება #944.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტთან შეიქმნას „ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია“.

სხდომის თავმჯდომარე: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტთან „მედიალაბორატორიის“ შექმნის შესახებ.

აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება =944 – მომხსენებელი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი გიორგი კულდონაშვილი.

ბატონი გიორგი კულდონაშვილი: მოგახსენებთ, რომ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტს ესაჭიროება მედიალაბორატორია, რომელიც წაადგება სტუდენტთა სწავლის დონის ამალგებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ვითხოვთ თქვენს თანხმობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 13 სექტემბრის =37 სხდომაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერმა გიორგი კულდონაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტთან „მედიალაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება =944.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტთან შეიქმნას „მედიალაბორატორია“.

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. დავით ჯაფარიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი

დავით ჯაფარიძე

სხდომის მდივანი,
სტუდენტი

ბექა კოპაძე